

Turnitin-ის გამოყენების სახელმძღვანელო

მსგავსების შედეგების ნახვა

მსგავსების ანგარიშის შესახებ

ნაშრომის ატვირთვა Turnitin- ში ჩვეულებრივ წარმოშობს მსგავსების ანგარიშს. მსგავსების ანგარიში წარმოადგენს ატვირთული ნაშრომის ამ ნაშრომისთვის შერჩეული მასალების შედარების შედეგებს. შედარებისთვის შერჩეული მასალები შეიძლება მოიცავდეს აქტიური თუ საარქივო ინტერნეტ ინფორმაციის მილიარდიან გვერდს, რომელიც აქამდე წარდგენილი სამუშაოების საცავია, ათობით ათასი პერიოდიკის, ჟურნალებისა და პუბლიკაციების საცავი. ნებისმიერი დამთხვევა ან უაღრესად მსგავსი ტექსტი აღნიშნულია მსგავსების ანგარიშში, რომელიც ხელმისაწვდომია ატვირთული ნაშრომის მეილ ყუთში (Assignment Inbox). მსგავსობის ქულა არის ნაშრომის შინაარსის ტურნიტინის მონაცემთა ბაზასთან შედარებით დამთხვევის პროცენტული მაჩვენებელი, ეს არ არის იმის მტკიცებულება, რომ ნაშრომი შეიცავს პლაგიატს.

მსგავსების და დამთხვევების ნახვა

დამთხვევა/მსგავსების მიმოხილვა იძლევა დეტალურ ინფორმაციას ყველა, მცირედ თუ სრულ დამთხვევა/მსგავსებაზე.

1. იმისათვის, რომ იხილოთ მსგავსება/დამთხვევის მიმოხილვა, დააჭირეთ წითელ რიცხვით სახელს მსგავსობა/დამთხვევის პანელზე. თუ აქამდე ფუნქცია არ იყო აქტიური, ის გააქტიურდება და აჩვენებს ყველა დამთხვევა /მსგავსებას.
2. ყველა მსგავსება/დამთხვევა გამოჩნდება მიმოხილვის პანელზე. დამთხვევების სია გამოჩნდება კლებადობის პრინციპით.
3. დამთხვევის დეტალების სანახავად დააჭირეთ ისარს პროცენტული მაჩვენებლის გვერდით.
4. დამთხვევის თითოეულ დეტალთან გამოჩნდება თუ რომელ წყაროს ემთხვევა. თუ გსურთ თვითონ წყარო ნახოთ, დააჭირეთ დასახელებას.
5. გამოჩნდება წყაროს ფანჯარა , სადაც ნაჩვენებია იქნება რომელ ნაწილს ემთხვევა. თუ გსურთ მთლიანი წყაროს წაკითხვა, ზედა მარჯვენა კუთხეში მოცემული ფანჯარა გააქტიურეთ. იგივეს შეგიძლიათ მიაღწიოთ ტექსტის განათებული ნაწილის მარცხენა მხარეს მოცემული დამთხვევის აღნიშნული წითელი დროშის გააქტიურებით.
6. ახლა თქვენ შეგიძლიათ უკვე ნახოთ წყაროს სრული ტექსტი შესაბამის პანელზე, სადაც ყველა დამთხვევა წითლად იქნება მოცემული.

წყაროების ნახვა

პანელზე ყველა წყარო *All Sources* მოცემულია ყველა წყარო რომელთანაც მოხდა დამთხვევა, დალაგებული კლებადობის პრინციპით. ნებისმიერი ამ წყაროების გააქტიურებით შეგიძლია დავინახოთ რამდენჯერ მოხდა დამთხვევა მოცემულ წყაროსთან.

1. ყველა წყაროს სანახავად გააქტიურეთ ღილაკი *ყველა წყარო All Sources* დამთხვევების პანელიდან. გააქტიურების შემდეგ ტექსტში ყველა დამთხვევა გამოჩნდება.
2. ყველა წყარო გამოჩნდება ღილაკი *ყველა წყარო All Sources* -ის გვერდით. წყაროების ჩამონათვალი მოცემულის დამთხვევის პროცენტულობის მაჩვენებლის კლებადობით.
3. იმისათვის, რომ ნახოთ თითოეული წყარო, გამოიყენეთ ნავიგაციის ისრები გვერდის თავში მოცემული *ყველა წყარო All Sources* -ს პანელის გვერდით. თითოეული წყაროს გააქტიურებით წყაროს ახალი ფანჯარა გამოჩნდება.

დამთხვევის შედეგების დაფილტვრა

ციტატების და ბიბლიოგრაფიის გამორიცხვა

როდესაც თქვენ აირჩევთ ციტატების დაფილტვრას (დამთხვევიდან ამოღება), სისტემა ციტატებს აღიქვამს ბრჭყალების მეშვეობით თუ ის მოცემულია „შემდეგაირად“ - ციტატა მოცემული ‘ასე’, არ აღიქმება ციტატად.

როდესაც გსურთ გამორიცხოთ ბიბლიოგრაფია, სისტემა მას აღიქვამს ‘ძირითადი სიტყვების’ (ქივრდი - Keyword) მეშვეობით და აუქმებს დამთხვევებს.

- წყაროები
- ციტირებული წყაროები
- წყაროები და ჩანიშვნები
- რესურსები (წყაროები)
- ბიბლიოგრაფია
- ციტირებული შრომები

თუმცა, როცა სისტემა აღმოაჩენს ქვემოთ მოცემულ სიტყვებს, დამთხვევის ტესტი კვლავ აღდგება

- დანართი
- დანათები
- სიტყვარი
- ცხრილი
- ცხრილები
- აღიარება (მადლობა)
- აღიარებები (მადლობები)
- ნიმუშები
- ციფრი, როცხვი
- ციფრები, როცხვები
- გრაფიკი, დიაგრამა
- გრაფიკები, დიაგრამები

1. იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ სხვა ტიპის დამთხვევა დამთხვევა/მსგავსების შედეგებში, გააქტიურეთ დამთხვევა/მსგავსების პანელზე მოცემული წითელი ღილაკი *ფილტრი Filter* .

თუ დამთხვევა/მსგავსების შრე არ იყო აქტიური, ახლა ის გააქტიურდება და აჩვენებს ყველა დამთხვევას.

2. დამთხვევა/მსგავსების შედეგებიდან ბიბლიოგრაფიის და ციტატების გამორიცხვისთვის გამოიყენეთ პანელი *ფილტრები და პარამეტრები Filters and Settings*.

3. ამ ცვლილების დასადასტურებლად გააქტიურეთ ღილაკი *მიუსადაგე ცვლილებები Apply Changes*. ასეთი ქმედება ცვლილებებს შეიტანს დამთხვევა/მსგავსების შედეგებში.

გამორიცხვით პატარა დამთხვევები

1. დამთხვევა/მსგავსების შედეგებიდან მსგავსი ტექსტების უგულველყოფა შესაძლებელია დამთხვეული ტექსტის ზომის მიხედვით. ამისათვის შაჭიროა გამოიყენოთ წითელი *ფილტრის Filter* - ის ნიშანი დამთხვევა/მსგავსების პანელიდან. დამთხვევა/მსგავსების ფუნქცია გააქტიურდება და აღნიშნავს ყველა დამთხვევას ნაშრომში.

2. *ფილტრები და პარამეტრები Filters and Settings* გვერდითი პანელიდან გამოიყენეთ ტექსტის ღილაკი რათა განსაზღვროთ რა უნდა გამორიცხვით დამთხვევა/მსგავსების შედეგებიდან. თქვენ შეგიძლიათ გამორიცხვით დამთხვეულ სიტყვათა რაოდენობა ან პროცენტულობა. მაგალითად, დაფილტვრა 10 სიტყვით გამორიცხავს ყველა წყაროს, რომელთანაც დამთხვეული სიტყვების რაოდენობა 10-ზე ნაკლებია მიმდევრობით.

3. გააქტიურეთ ღილაკი *მიუსადაგე ცვლილებები Apply Changes* იმისათვის, რომ დაადასტუროთ ასეთი ცვლილება. ასეთი ქმედება ცვლილებებს შეიტანს დამთხვევა/მსგავსების შედეგებში.

დამთხვევა/მსგავსების შედეგების ჩვენება სხვადასხვა ფერში

1. იმისათვის, რომ გავააქტიუროთ დამთხვევა/მსგავსების შედეგების სხვადასხვა ფერში ჩვენების ფუნქცია უნდა გამოვიყენოთ წითელი ღილაკი ფილტრი Filter დამთხვევა/მსგავსების პანელიდან. ფუნქცია გააქტიურდება და გვიჩვენებს ყველა დამთხვევა/მსგავსებას.

2. *ფილტრები და პარამეტრები Filters and Settings* პანელიდან გამოიყენეთ *აღნიშვნა მრავალ ფერში Multi-color Highlighting* ღილაკი რაც დამთხვევა/მსგავსებებს სიმძიმის მიხედვით სხვადასხვა ფერში აჩვენებს.

3. ახლა უკვე დამთხვევები შეიძლება გავარჩიოთ როგორც ფერის, ასევე რიცხვის მიხედვით.

დამთხვევა/მსგავსების შედეგების განახლება

თუ ფიქრობთ, რომ ნაშრომის ბოლო შემოწმებიდან გავლილ პერიოდში მონაცემთა ბაზას დაემატა სხვა ნაშრომები, შესაძლებელია ნაშრომის ხელახლა შემოწმება, ანუ დამთხვევა/მსგავსების შედეგების განახლება *ფილტრები და პარამეტრები Filters and Settings* პანელიდან.

1. ახალი შედეგების მისაღებად გაააქტიურეთ *ფილტრი Filter* ღილაკი დამთხვევა/მსგავსების პანელიდან. დამთხვევა/მსგავსების ფუნქცია გააქტიურდება და აღნიშნავს ყველა დამთხვევა/მსგავსება ნაშრომში.
2. ახალი შედეგების მისაღებად *ფილტრები და პარამეტრები Filters and Settings* -ს პანელიდან გაააქტიურეთ ღილაკი *ახალი შედეგები New Report*.
3. ჩვენი რჩევაა ეს ფუნქცია გამოიყენოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ხართ, რომ მონაცემთა ბაზას დაემატა ახალი წყაროები. სხვა შემთხვევაში იგივე შედეგებს მიიღებთ. გაააქტიურეთ *OK* თუ გსურთ ახალი შედეგები, ან *Cancel* თუ არ გსურთ ახალი შედეგები.

წყაროების გამორიცხვა

წყაროების გამორიცხვა დამთხვევის მიმოხილვით

1. წყაროების გამორიცხვა დამთხვევა/მსგავსების შედეგებიდან შესაძლებელია გვერდითი პანელიდან *დამთხვევის მიმოხილვა Match Overview*. გაააქტიურეთ დამთხვევა/მსგავსების პანელზე წითლად მოცემული დამთხვევის მაჩვენებელი რიცხვი. დამთხვევის ფუნქცია გააქტიურდება და გვაჩვენებს ყველა დამტხვევა/მსგავსებას.
2. ყველა დამთხვევა გამოჩნდება *დამთხვევის მიმოხილვა Match Overview* პანელზე.
3. იმისათვის, რომ ნახოთ თითოეული დამთხვევის დეტალები და გამორიცხოთ წყარო, გამოიყენეთ ისარი, რომელიც მოცემულია თითოეული დამთხვევის მაჩვენებელი რიცხვის (პროცენტულობის) გვერდით.
4. გაააქტიურეთ ღილაკი *გამორიცხე წყარო Exclude Sources*, რომელიც მოცემულია *დამთხვევის დეტალები Match Breakdown* პანელის ქვემოთ.
5. გამოიყენეთ *მონიშვნის უჯრედი checkbox* და მონიშნეთ წყარო, რომელიც გინდათ რომ გამორიცხოთ დამთხვევა/მსგავსების შედეგებიდან. გაააქტიურეთ ღილაკი *გამორიცხე Exclude*.

შენიშვნა: *გამორიცხე Exclude* ღილაკის გააქტიურება გამოიწვევს დამთხვევა/მსგავსების შედეგების გადახალისებას.

წყაროების გამორიცხვა ღილაკით ყველა წყარო All Sources

1. დამთხვევა/მსგავსების შედეგებიდან წყაროების გამორიცხვისთვის გამოიყენეთ გვერდით პანელზე მოცემული ღილაკი *ყველა წყარო All Resources*. გაააქტიურეთ მსგავსების პანელზე მოცემული გრაფიკული ნიშანი. ეს ქმედება გაააქტიურებს დამტხვევა/მსგავსების შრეს და ნაშრომში ყველა დამტხვევა/მსგავსებას გვიჩვენებს.
2. გააქტიურეთ ყველა წყაროს პანელის ბოლოში მოცემული ღილაკი *გამორიცხე Exclude*.
3. გამოიყენეთ *მონიშვნის უჯრედი checkbox* და მონიშნეთ წყარო, რომელიც გინდათ რომ გამორიცხოთ დამთხვევა/მსგავსების შედეგებიდან.
4. გაააქტიურეთ ყველა წყაროს პანელის ბოლოში მოცემული ღილაკი *გამორიცხე Exclude*. ან გააქტიურეთ ღილაკი *Cancel* თუ გინდათ წაშალოთ ყველა მონიშვნა.

უკვე გამორიცხული წყაროების ნახვა

1. იმისათვის, რომ ნახოთ რომელი წყაროები გამორიცხეთ გამოიყენეთ წითელი ღილაკი *გამორიცხე Exclude* დამთხვევა/მსგავსების პანელიდან. გააქტიურდება დამთხვევა/მსგავსების შრე და გვიჩვენებს ყველა დამთხვევა/მსგავსებას.

2 a. თუ არც ერთი წყარო არ ყოფილა მანამდე გამორიცხული, მაშინ მივიღებთ მესიჯს *არც ერთი წყარო არ ყოფილა გამორიცხული No sources have been excluded for this report.*

2 b. თუ დამთხვევა/მსგავსების შედეგებიდან რაიმე წყარო იყო გამორიცხული, სიის ნახვა შესაძლებელია გვერდით პანელზე მოცემული ღილაკის *გამორიცხული წყაროები Excluded Sources* გამოყენებით.

3 a. თუ რომელიმე წყაროს აღდგენა გსურთ გამოიყენეთ მონიშვნის უჯრედი და აღნიშნეთ შესაბამისი წყარო. გააქტიურეთ ღილაკი *აღდგენა Restore.*

3 b. თუ ყველა წყაროს აღდგენა გსურთ გამოიყენეთ ღილაკი *ყველა წყაროს აღდგენა Restore All.*

შენიშვნა: იმისათვის, რომ ეს წყაროები აისახოს შედეგებში შედეგების განახლება საჭირო არ არის.